

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების, მათემატიკის და ინჟინერიის სკოლა (MACS[E]) აცხადებს ვაკანსიას მოწვეული ლექტორის პოზიციაზე შემდეგი მიმართულებით - **კომპიუტერული ქსელები**.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- გამოცდილება კომპიუტერული ქსელების მართვაში
- პროგრამირების გამოცდილება
- პროგრამირების ენა პითონის ცოდნა
- ქსელური პროტოკოლების ცოდნა და მათი იმპლემენტაციის უნარი;
- ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

სამუშაოს ზოგადი მოთხოვნები:

- ლექციებისა და/ან სემინარების ჩატარება შესაბამის საგანში/საგნებში;
- კურსის სილაბუსის შემუშავება/კორექტირება;
- სილაბუსით გათვალისწინებული დავალებებისა და სხვა აქტივობების მომზადება და გასწორება.

ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სასურველია ლექციების ჩატარების გამოცდილება;
- კარგი და სწრაფი კომუნიკაციის უნარი;
- ენერგიული;
- დისციპლინირებული;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

საჭირო დოკუმენტაცია:

CV და საგნის სილაბუსი;

საბუთების მიღების ბოლო ვადა არის 2020 წლის 15 ნოემბრამდე ;

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება დოკუმენტაციის მიხედვით, მეორე ეტაპზე დაინიშნება საჩვენებელი ლექცია (დაკავშირება მოხდება მხოლოდ წარმატებულ კანდიდატებთან).

წერილის სათაურში აუცილებლად მიუთითეთ პოზიციის დასახელება **„მოწვეული ლექტორი“** და **შესაბამისი საგნის დასახელება**. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვებ-გვერდი - [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი - [vacancy@freeuni.edu.ge](mailto:vacancy@freeuni.edu.ge)